

ამოცანის ფუნქციური სპეციფიკაცია (FS)

1. დოკუმენტის ზოგადი ნაწილი	
1.1.1. ცვლილების დასახელება	Performance Soft for Employees
1.1.2. Change ID#	C20OU051
1.1.3. ბიზნეს მიმართულება	OP
1.1.4. ბიზნეს/ IT სერვისი	ახალი
1.1.5. ვერსია	2
1.1.6. შექმნის თარიღი	02.12.2020
1.1.7. ანალიტიკოსი	ეთო მიროტაძე
1.1.8. ცვლილების / პროექტის მენეჯერი	ეთო მიროტაძე
1.1.9. განხორციელების ხანგრძლიობა	2 თვე

ცვლილების აღწერა :

2. დოკუმენტში გამოყენებული ტერმინოლოგია:

- ცნობარი - სისტემაში ადმინისტრატორის მიერ წინასწარ შექმნილი, განსაზღვრული ფორმულირებით წარმოდგენილი დასახელებების ჩამონათვალი, რომელიც განსაზღვრულია მხოლოდ კონკრეტულ ველებში ასარჩევად / გამოსატანად.
- პოზიცია - ქსელში თანამშრომლის მიერ შრომითი ხელშეკრულებით დაკავებული პოზიცია.
- ფუნქცია - პოზიციისთვის სამუშაო აღწერილობით განსაზღვრული მოვალეობა / შესასრულებელი ამოცანა.
- სტანდარტი - ფუნქციის შესრულების განმსაზღვრელი საზომი ერთეული, რომლის მიხედვითაც ფასდება პოზიციისთვის დაკისრებული ფუნქციის შესრულების ხარისხი.

3. ამოცანის ფუნქციური აღწერა

- სისტემა უნდა შედგებოდეს შემდეგი მოდულებისგან:
 - მთავარი
 - ფუნქციებისა და სტანდარტების მართვა
 - ცნობარები
 - მომხმარებლის ფოლდერი
 - არქივი

მოდულების აღწერა:

- **ფუნქციებისა და სტანდარტების მართვა** - ფუნქციებისა და სტანდარტების მართვის მოდულში ადმინისტრატორს უნდა შეეძლოს :
 - ფუნქციის შექმნისთვის საჭირო ველების განსაზღვრა
 - დროის კონკრეტულ მონაკვეთში უნდა არსებობდეს მხოლოდ ერთი შაბლონი, რომელიც ვრცელდება ყველა სხვა ფუნქციის შექმნისას.
 - ფუნქციის შექმნისთვის საჭირო ველებზე ცნობარების განსაზღვრა

- სტანდარტის შექმნისთვის საჭირო ველების განსაზღვრა
 - დროის კონკრეტულ მონაკვეთში უნდა არსებობდეს მხოლოდ ერთი შაბლონი, რომელიც გრძელდება ყველა სხვა სტანდარტის შექმნისას.
- ფუნქციის შექმნა
 - ფუნქციის შექმნისას ადმინისტრატორს სისტემამ შესავსებად გამოუტანოს დროის კონკრეტულ მონაკვეთში ფუნქციის შექმნისთვის შესავსებად განსაზღვრული ველები. მაგალითად:
 - კლინიკის ტიპი (ცნობარიდან ასარჩევი ველი)
 - ბინზეს მიმართულება (ცნობარიდან ასარჩევი ველი)
 - ბინზეს პროცესი (ცნობარიდან ასარჩევი ველი)
 - ფუნქციის დასახელება (ჩასაწერი ველი)
 - დამატების/განახლების თარიღი (თარიღის ასარჩევი ველი)
 - საკონტაქტო ინფორმაცია (ჩასაწერი ველი)
 - დამატებითი დეტალები / შენიშვნა (ჩასაწერი ველი)
- ფუნქციასთან დაკავშირებული სტანდარტის (ერთი ან რამდენიმე) შექმნა
 - სტანდარტის შექმნისას ადმინისტრატორს სისტემამ შესავსებად გამოუტანოს დროის კონკრეტულ მონაკვეთში სტანდარტის შექმნისთვის შესავსებად განსაზღვრული ველები. მაგალითად:
 - აბზ (ჩასაწერი ველი)
 - სტანდარტის # (ჩასაწერი ველი)
 - ფუნქცია - ეს ველი შეივსება ავტომატურად, იმის მიხედვით, თუ რომელ ფუნქციაზე ხდება სტანდარტის გაწერა / მითითება.
 - სტანდარტის შესრულების საზომი ერთეული (ჩასაწერი ველი)
 - KPI (ჩასაწერი ველი)
 - KPI მაჩვენებელი (ჩასაწერი ველი)
 - შიდა რეგულაცია (ჩასაწერი ველი)
 - დაკავშირებული კანონმდებლობა (ჩასაწერი ველი)
 - KPI რეპორტი (ჩასაწერი ველი)
 - შემოწმების მეთოდი (ჩასაწერი ველი)
 - სტანდარტის შექმნისთვის საჭირო ველები უნდა იყოს თავისუფალი ჩასაწერი ველები, სადაც შესაძლებელი იქნება დოკუმენტის მიმაგრება. ადმინისტრატორს შეეძლოს ერთი ან რამდენიმე, კონკრეტულ ველთან დაკავშირებული დოკუმენტის მიმაგრება ან ჩანაწერის გაკეთება (PDF/Word დოკუმენტი, Excel ფაილი, ვებ მისამართი/ლინკი და ა.შ.).
- ფუნქციისა და ფუნქციასთან დაკავშირებული სტანდარტის შინაარსის რედაქტირება
 - ფუნქციის რედაქტირებისას ადმინისტრატორს სისტემამ უნდა გამოუტანოს ფუნქციის შექმნისთვის დროის კონკრეტულ მონაკვეთში განსაზღვრული შაბლონი.
 - იმ შემთხვევაში, თუ დროის კონკრეტულ მონაკვეთში განსაზღვრული შაბლონი განსხვავდება კონკრეტული ფუნქციის შექმნისას არსებული შაბლონისგან, ფუნქციაზე შევსებულ ველებთან ერთად სისტემამ დამატებით უნდა გამოიტანოს ფუნქციის შექმნისთვის დამატებული ახალი ველები უახლესი შაბლონის მიხედვით.

- სტანდარტის რედაქტირებისას ადმინისტრატორს სისტემამ უნდა გამოუტანოს სტანდარტის შექმნისთვის დროის კონკრეტულ მონაკვეთში განსაზღვრული შაბლონი.
 - იმ შემთხვევაში, თუ დროის კონკრეტულ მონაკვეთში განსაზღვრული შაბლონი განსხვავდება სტანდარტის შექმნისას არსებული შაბლონისგან, სტანდარტზე შევსებულ ველებთან ერთად სისტემამ დამატებით უნდა გამოიტანოს სტანდარტის შექმნისთვის **დამატებული ახალი ველები** უახლესი შაბლონის მიხედვით.
 - იმ შემთხვევაში, თუ დროის კონკრეტულ მონაკვეთში განსაზღვრული შაბლონი განსხვავდება სტანდარტის შექმნისას არსებული შაბლონისგან - უკვე შევსებული ველები აღარ არის ვალიდური და წაშლილია შაბლონიდან - თუ რომელიმე ფუნქციაზე / სტანდარტზე შევსებულია შაბლონში წაშლილი ველი, ფუნქციაზე / სტანდარტზე შევსებული ინფორმაცია არ წაიშალოს, მაგრამ მთავარ გვერდზე ძიების ფილტრებში სვეტი აღარ იყოს გამოტანილი.
ამ შემთხვევაში, რედაქტირების ფუნქციით ადმინისტრატორს შეეძლოს, წაშალოს კონკრეტულ ფუნქციაზე შევსებული, მაგრამ შაბლონში წაშლილი ველი.
 - ცვლილების რედაქტირებისას ადმინისტრატორს შეეძლოს, გააკეთოს ცვლილების შინაარსის მოკლე აღწერა.
 - ცვლილების შინაარსის აღწერის ველი უნდა იყოს თავისუფალი, ჩასაწერი ველი.
 - ცვლილების რედაქტირებისას ადმინისტრატორს შეეძლოს, ცვლილების აღწერა გაგზავნოს მეილზე სისტემის ყველა მომხმარებელთან, შემლუდვის გარეშე. გაგზავნისთვის ადმინისტრატორს უნდა ჰქონდეს მეილზე გაგზავნის მოსაწიშნი ჩეკ ბოქსი. მეილი უნდა შედგებოდეს :
 - ცვლილების ტიპი (რომელ ნაწილში შევიდა ცვლილება: ფუნქცია/სტანდარტის დასახელება).
 - ადმინისტრატორის მიერ შექმნილი ცვლილების შინაარსის აღწერილობითი ნაწილი.
 - იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრატორმა ჩაანაცვლა / დაარედაქტირა სტანდარტზე მიმაგრებული დოკუმენტი, ლინკი ან რეპორტი, სისტემამ ჩაანაცვლებული მონაცემი ავტომატურად გადაიტანოს არქივის მოდულში.
 - უნდა მოხდეს ადმინისტრატორის მიერ განხორციელებული ცვლილებების ლოგირება.
- **ცნობარები** - ცნობარების მოდულში ადმინისტრატორს შეეძლოს შექმნას ფუნქციის შექმნისთვის განსაზღვრულ ველებთან დაკავშირებული წინასწარ განსაზღვრული ასარჩევი ჩამონათვალი.
 - ცნობარის შექმნა
 - ცნობარის შექმნისას ადმინისტრატორმა უნდა აირჩიოს კონკრეტული დაკავშირებული ველი, სადაც შესაძლებელი იქნება ცნობარში ჩამოთვლილი ჩანაწერების არჩევა.
 - ცნობარის შექმნისას ადმინისტრატორს უნდა შეეძლოს ერთი ან რამდენიმე ჩანაწერის დამატება კონკრეტულ ველში ასარჩევად.
 - ცნობარის რედაქტირება/წაშლა
 - ადმინისტრატორს უნდა შეეძლოს კონკრეტული ცნობარის ჩანაწერების ცვლილება
 - ადმინისტრატორს უნდა შეეძლოს კონკრეტული ცნობარის ჩანაწერების წაშლა

- **მომხმარებლის ფოლდერი** - მომხმარებლის ფოლდერი განკუთვნილია სისტემის ავტორიზებული მომხმარებლისთვის, სადაც მომხმარებელს შეუძლია შეინახოს მისთვის საინტერესო ფუნქციები, სტანდარტები და კონკრეტული დოკუმენტები, რომლებიც სისტემაში არის განთავსებული. ფუნქციაზე / სტანდარტზე და მიმაგრებულ დოკუმენტებზე მომხმარებელს შეუძლია, მონიშნოს „ჩემს ფოლდერში გადატანა“, რითაც შეინახავს მისთვის სასურველ როგორც ფუნქციას ან სტანდარტს, ან / და კონკრეტულ მიმაგრებულ დოკუმენტს.
- **არქივი** - არქივის მოდულში სისტემას ავტომატურად გადააქვს ადმინისტრატორის მიერ რედაქტირებული / ჩანაცვლებული დოკუმენტი, ლინკი ან რეპორტი.
 - სისტემის მომხმარებელს უნდა შეეძლოს დაარქივებული ინფორმაციის მოძიება დოკუმენტის დასახელებით, ფუნქციის ან სტანდარტის დასახელებით.
- **მთავარი** - მთავარ გვერდზე სისტემაში ავტორიზებული მომხმარებლის მიერ უნდა მოხდეს სასურველი ფუნქციისა თუ სტანდარტის მოძიება სასურველი ხერხით.
 - სისტემაში ავტორიზაციისას მომხმარებელი ავტომატურად ხვდება მთავარ გვერდზე.
 - მთავარ გვერდზე მომხმარებელს გამოუჩნდება - ფუნქციები, ძიების ფილტრი, ფუნქციების ჯგუფები. ფუნქციების ძიების ფილტრი უნდა ემთხვეოდეს ფუნქციების შაბლონის ველებს - მომხმარებელს უნდა შეეძლოს, ფუნქციები მოიძიოს ფუნქციის დამატებისას ადმინისტრატორის მიერ შევსებული ველებით.
 - მაგალითად, Default-ად შეიძლება გამოტანილი იყოს შემდეგი სვეტები ფილტრაციისთვის :
 - ფუნქციის დასახელება.
 - კლინიკის ტიპი.
 - ბინზეს მიმართულება.
 - ბინზეს პროცესი.
 - ფუნქციის დასახელება.
 - დამატების/განახლების თარიღი.

მაგრამ თუ მომხმარებელს ჩამოთვლილისგან განსხვავებული სვეტით სურს ინფორმაციის მოძიება (რომელიც ფუნქციის შექმნის შაბლონში იცხება), შეეძლოს, დამატებით გამოიტანოს სხვა სვეტი და დაფილტროს მისთვის სასურველი შედეგი.

 - **ფუნქციების ნაწილში** მომხმარებელს სვეტების მიხედვით გამოუჩნდება ფუნქციების ჩამონათვალი, როგორც ეს RF დოკუმენტის დანართი #1-ში, “Functions” გვერდზეა წარმოდგენილი.
 - ფუნქციაზე გადასვლის შემდეგ მომხმარებელს სისტემამ გამოუტანოს ფუნქციაზე დაკავშირებული სტანდარტების ჩამონათვალი RF დოკუმენტის დანართ #1-ში „EVEX standards” გვერდზე წარმოდგენილი სვეტების მიხედვით.
 - მომხმარებელს შეეძლოს, გაარჩიოს, რომელ სვეტშია მიმაგრებული ფაილი, ლინკი (PBI ლინკი რეპორტისთვის, მაგალითად) და ა.შ.
 - **ძიების ფილტრში** მომხმარებელს უნდა შეეძლოს სისტემის მიერ გამოტანილი სვეტებით ძიება (ფილტრაცია) კონკრეტული ჩანაწერის გაკეთებით.

- **ფუნქციების ჯგუფებში** ფუნქციები დაჯგუფებული უნდა იყოს დეპარტამენტების / პოზიციების მიხედვით ფუნქციაზე მითითებული დეპარტამენტის / პოზიციის დასახელების მიხედვით.
 - კონკრეტულ ჯგუფში შესვლისას მომხმარებელს სისტემამ უნდა გამოუტანოს მხოლოდ კონკრეტულ დეპარტამენტზე / პოზიციაზე არსებული ფუნქციები.
 - ფუნქციების ნაწილში მომხმარებელს სვეტების მიხედვით გამოუჩნდეს ფუნქციების ჩამონათვალი, როგორც ეს RF დოკუმენტის დანართი #1-ში, "Functions" გვერდზეა წარმოდგენილი.
 - ფუნქციაზე გადასვლის შემდეგ მომხმარებელს სისტემამ გამოუტანოს ფუნქციაზე დაკავშირებული სტანდარტების ჩამონათვალი RF დოკუმენტის დანართ #1-ში „EVEX standards“ გვერდზე წარმოდგენილი სვეტების მიხედვით.
 - მომხმარებელს შეეძლოს, გაარჩიოს, რომელ სვეტშია მიმაგრებული ფაილი, ლინკი და ა.შ.
- მთავარ გვერდზე, მარცხენა მხარეს მომხმარებელს გამოუჩნდეს - მომხმარებლის ფოლდერი, არქივი და საიტის რუკა :
 - **მომხმარებლის ფოლდერში** გადასვლისას მომხმარებელს შეეძლოს თავის მიერ ჩანიშნული დოკუმენტაციის, ფუნქციების, სტანდარტების ნახვა. შეეძლოს მონაცემების ძიება დასახელებით ფილტრაციით.
 - **არქივში** გადასვლისას მომხმარებელს შეეძლოს სისტემის ადმინისტრატორის მიერ შეცვლილი დოკუმენტაციის, ინფორმაციის მოძიება დასახელებით.
 - **საიტის რუკაზე** გადასვლისას მომხმარებელს შეეძლოს, გაარჩიოს, რომელი ინფორმაციის მოძიება სად იქნება შესაძლებელი.
- ადმინისტრატორის მიერ სისტემაში განხორციელებული ცვლილებების გარჩევადობა :
 - ადმინისტრატორის მიერ სისტემაში განხორციელებულ ისეთ ცვლილებებზე, რომლებზეც ადმინისტრატორის მიერ მოხდა მომხმარებლებთან მეილით გაგზავნა, სისტემამ **ერთჯერადად** გამოიტანოს ცვლილების შეტყობინების პოპ აპი, სადაც დაფიქსირებული იქნება ;
 - ცვლილების ტიპი
 - ცვლილების თარიღი
 - ცვლილების შინაარსის აღწერა
 - ადმინისტრატორის მიერ ფუნქციაზე ან სტანდარტზე განხორციელებული ცვლილების შემთხვევაში მიმდინარე თარიღის მიხედვით ბოლო ერთი კვირის მანძილზე ფუნქცია და სტანდარტი აღნიშნული იყოს განსხვავებული ფერით.
 - ფუნქციებისა და სტანდარტების ჩამონათვალებში იყოს გამოტანილი დამატებითი სვეტი, რომელშიც დაფიქსირებული იქნება ცვლილების შესახებ ადმინისტრატორის მიერ გაკეთებული ცვლილების აღწერა.
- **მომხმარებელს სისტემაში შესვლა** უნდა შეეძლოს ვებქსი კლინიკების Active Directory-ში (AD) არსებული მეილითა და პაროლით.
- **მომხმარებელს შეუძლია :**
 - **მხოლოდ** მოიძიოს დადათვალაიეროს საიტზე არსებული ინფორმაცია. არ შეუძლია შეცვალოს ან წაშალოს საიტზე განთავსებული ინფორმაცია / დოკუმენტაცია.

- სისტემაში ავტორიზაციისთვის გამოყენებულ მეილზე გაიგზავნოს ადმინისტრატორის მიერ სისტემაში მიმაგრებული ნებისმიერი დოკუმენტი მეილზე გაგზავნის დილაკით.

4. შენიშვნა : წინამდებარე დოკუმენტი განიხილება პროგრამული უზრუნველყოფის მოთხოვნის ფორმის (დანართი #1, 06/11/2020) დანართად და განუყოფელ ნაწილად. აღნიშნული დოკუმენტები განიხილება მხოლოდ ერთიანობაში და არა დამოუკიდებლად.